

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის „დაცვისა და უსაფრთხოების წესები“

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია დაცვის თანამშრომელი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

მუხლი 2. დაცვის თანამშრომლის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. დაცვის თანამშრომლის ძირითადი ამოცანაა სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგისა და სასწავლო უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. დაცვის თანამშრომელს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი ფუნქციები:

ა) დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეუძლია არ დაუშვას უცხო პირი სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ან სპეციალური საშვის გარეშე;

ბ) გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები წესრიგის დამრღვევის მიმართ, თუ იგი არ ემორჩილება სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და პოლიციის უახლოეს განყოფილებას;

3. სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელი ვალდებულია მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს დაიცვას ეთიკის ნორმები.

მუხლი 3. დაცვისა თანამშრომლის უფლებამოსილებანი:

3.1. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია:

ა) ყურადღებით აკონტროლოს კორპუსი, კარგად იცოდეს კორპუსში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი;

ბ) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან და ხანძრისაგან. პერიოდულად გააკეთოს შემოვლები კორპუსში და კორპუსის ირგვლივ, განსაკუთრებით ღამის საათებში;

გ) აღკვეთოს სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის ნებისმიერი დარღვევა, აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელების შემოტანა კორპუსში, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები;

დ) კორპუსში ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები ჰქონდეს მუდმივ კონტროლზე აყვანილი;

ე) სახანძრო ცეცხლმაქრეები უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში, შეამოწმოს ვარგისიანობის ვადა;

ვ) სამუშაო საათების დამთავრებისას მოახდინოს დათვალიერება ელექტროგანათების სრული გამორთვით, გარდა მორიგე განათებისა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს ჩართული;

ზ) კარებების, ფანჯრების საკეტების დაზიანების ან ხანძრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ადმინისტრაციას, პოლიციას, სახანძრო სამსახურს და სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიიღოს ზომები დასაცავ ობიექტზე წესრიგის დასამყარებლად;

თ) დაცვის თანამშრომელს ევალება საგანგებო სიტუაციების დროს უხელმძღვანელოს შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს. საგანგებო სიტუაციად განიხილება ნებისმიერი დაუძლეველი ძალის ან ადამიანის მოქმედება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან ქონებას.

ი) კონკრეტული დარღვევის გამოვლენის შემდეგ შეადგინოს აქტი დანიშნულებისამებრ წარსადგენად;

3.2. დაცვის თანამშრომელს ეკრძალება:

- ა) დამოუკიდებლად გახსნას კარებები, ფანჯრები, მოხსნას საკეტები, გადაადგილოს სახანძრო ინვენტარი, ხანძარჩამქრობი პირველადი საშუალებები ან შეასრულოს სხვა სამუშაო, თუ ეს არ არის დაკავშირებული კორპუსის დაცვასთან;
- ბ) არ დაუშვას უცხო პირი დასაცავი კორპუსის ტერიტორიაზე საშვის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაიტოვოს პირადობის დამდასტურებელი მოწმობა და ხელი მოაწერინოს რეგისტრაციის ჟურნალში;
- გ) კორპუსის მიტოვება ან სამსახურიდან მოცდენა, მორიგეობის დროს ძილი, თვითნებურად მორიგეობის გაცვლა ან სამორიგეო ობიექტის დატოვება.

მუხლი 4. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების ხელშეწყობის მექანიზმები

1. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამის ადაპტირებულ გარემოს შექმნას;
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შენობაში შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:
 - სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში არსებობს უნარშეზღუდული პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სპეციალური კაპიტალური ასასვლელი;
 - სასწავლო უნივერსიტეტში სპეციალური საჭიროების სტუდენტებისათვის განკუთვნილი აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია ისე, რომ უნარშეზღუდულმა სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება;
 - სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი;
 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერებით;
3. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი ვალდებულია უნარშეზღუდულ სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ გადაადგილებას შენობაში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, იმის შესახებ, რომ, თუ შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესახებ დაცვის თანამშრომელს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. დაცვისა და უსაფრთხოების წესებს ბრძანებით ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
2. დაცვისა და უსაფრთხოების წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.